ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ ნ. შალმბერიძეს,
√ქ-ნ თ. გვაზავას

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/17641
16.11.2016

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ-ნ ე.კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

№10/17641
16.11.16

აპარატის უფროსი
ე.დუმბაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

გიორგი ალიბეგაშვილი
15.11.16ნ.

№10/17641
15.11.16 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ალიბეგაშვილს

ამომრჩევლებისადმი ალექსანდრე ელისაშვილის ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცენტრალური საბურთალოს მაჟორიტარმა დეპუტატმა მის სამაჟორიტაროში მცხოვრებ მოსახლეობას დეტალური ანგარიში წარუდგინა 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ელისაშვილის განცხადებით, დეპუტატის ბიურომ 2014 წლის აგვისტოდან დაიწყო ფუნქციონირება. მას შემდეგ, მუდმივად ხდებოდა, როგორც საბურთალოს, ასევე სხვა რაიონების მოსახლეობის მიღება, წერილებზე რეაგირება და ხორციელდებოდა ადგილზე შეხვედრები.

2016 წლის 1 იანვრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, დაახლოებით 900 მოქალაქესთან მოხერხდა შეხვედრა სამაჟორიტარო ბიუროში, 86 მოქალაქესთან — საკრებულოში, შემოვიდა 149 წერილი.

ამ წლების განმავლობაში, არ იცვლება მოსახლეობის ძირითადი თხოვნები და მოთხოვნები. ისინი ისევ სტადიონებსა და რეკრეაციულ ზონებში გაცემულ სამშენებლო ნებართვებს შეეხებოდა, ასევე, ხეების უკანონო მოჭრას, ავარიული შენობების გამაგრებას, გზის საფარის მოწესრიგებას, სპორტული მოედნების კეთილმოწყობას, სოციალურ პრობლემებს, მედიკამენტებით დახმარებას, სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას და სხვადასხვა პრობლემას.

ხშირად, გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია საპროტესტო აქციების ორგანიზება. მაგალითად, ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმეთვიანი ინტენსიური საპროტესტო აქციების შედეგად, მოხერხდა პეკინის N23ა-ში საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟის შეჩერება, ხეების მოჭრის აღკვეთა და მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვის გაუქმება. ანალოგიური ძალისხმევის, მერიაში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის, თბილისის პროკურატურასა და მერიის მონიტორინგის სამსახურში შეტანილი საჩივრების შემდეგ, გაუქმდა ნუცუბიძის N26-ში რეკრეაციულ ზონაში გაცემული სავაჭრო ცენტრის მშენებლობის უკანონო ნებართვა. ამგვარივე ვითარებაა საბურთალოს ქუჩის N85-ში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა, თითქმის, წელიწადია საპროტესტო აქციებს მართავს და აპროტესტებს საფრთხის შემცველ სამშენებლო ნებართვას. ეს ნებართვა გასაჩივრებული იყო მერიაში ადმინისტრაციული წესით, მასზე განცხადებები შეტანილია თბილისის პროკურატურასა და მერიის მონიტორინგის სამსახურში, პარალელურად, საქმის განხილვა მიმდინარეობს საქალაქო სასამართლოში.

ასევე, რამდენიმეთვიანი აქციების შედეგად, სააკაძის მოედანზე N6-ში მცხოვრებმა 8 ოჯახმა კუთვნილი საცხოვრებელი ფართები დაიმტკიცა. მათზე მთავრობის მაღალჩინოსნები თვეების განმავლობაში ახდენდნენ ზეწოლას და აიძულებდნენ მათ, დაეთმოთ კუთვნილი 700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი. აქციებით და საჯარო მხილებით, თითქმის, ნახევარი წლის შემდეგ მოხერხდა მათი ფართების დამტკიცება.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 4 ფურცელი
№ 10117641 15.11.16

ალექსანდრე ელისაშვილის შუამდგომლობის და მიმართვის საფუძველზე საბურთალოს რაიონის გამგეობამ აღადგინა სკვერი გოთუას ქუჩაზე, 26 ნომერთან და სკვერში დაიდგა ლევან გოთუას მონუმენტი.

ყაზბეგის გამზირზე N27-ში ნომერში მოხდა შარშან მოსახლეობის საპროტესტო აქციების შედეგად გადარჩენილი სკვერის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოები დააფინანსა კომპანია „გალფმა".

გაზაფხულიდან მოყოლებული, ალექსანდრე ელისაშვილი ინტენსიურად ეხმარებოდა სამოქალაქო ინიციატივის ურბანული იდეების ლაბორატორიის წარმომადგენლებს, როგორც საკრებულოს შენობაში სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში, ასევე ყოველ ოთხშაბათს ლექციათა კურსის გამართვაში. ამ კურსის ფარგლებში უამრავი საინტერესო ლექცია მოეწყო, თავად ელისაშვილმაც წაიკითხა ორი ლექცია:

1. თბილისის ქუჩებისა და მოედნების სახელდების ისტორია და თანამედროვე გამოწვევები;
2. თბილისის ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფის თავისებურებები.

14 მაისს თბილისის საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში ალექსანდრე ელისაშვილისა და სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის ორგანიზებით გაიმართა გამოფენა — „თბილისში გამქრალი გერმანული სოფელი — ალექსანდერსდორფი".

28 ოქტომბერს ალექსანდრე ელისაშვილის ხელშეწყობით, საკრებულოს შენობაში, თამარ მეფის დარბაზში ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს, გოეთეს ინსტიტუტისა და DVV International-ის ორგანიზებით გაიმართა ქალაქის მწვანე ფორუმის გახსნის ღონისძიება.

25 მარტს, ალექსანდრე ელისაშვილის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის ტრამვაიმ" ტრანსპორტის ამ სახეობის განვითარებასთან დაკავშირებით, პრეზენტაცია გამართა, რომელსაც საკრებულოს წევრები, ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის სპეციალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე განხილული იყო თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივები.

21 აპრილს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამოუკიდებელი დეპუტატის ალექსანდრე ელისაშვილის ინიციატივით საკრებულოს სხდომათა დარბაზში პრეზენტაცია გაიმართა თემაზე — ველოსიპედი, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი თბილისში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. პრეზენტაცია წარმოადგინეს ურბანისტებმა და ველომოყვარულებმა. მომხსენებლებმა შეხვედრის მონაწილეებს სპეციალურად შექმნილი თბილისის რუკა გააცნეს, რომელზეც

ველოსიპედისტების გადაადგილდების ტერიტორიები და მათთვის მოძრაობის დროს ხელისშემშლელი დაბრკოლებები იყო ნაჩვენები. პრეზენტაციაზე ასევე იქნა წარმოდგენილი ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება თბილისში ველოტრანსპორტის განვითარებას უზრუნველყოფს.

სამაჟორიტარო საქმიანობის გარდა, ალექსანდრე ელისაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს საქმიანობაში. იგი ესწრებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიისა და გარემოს დაცვის კომისიის სხდომებს. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საკითხის განხილვაში. იყო არაერთი საკითხის ინიციატორი.

მათ შორის:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეორგაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის 14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის 2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ.

2016 წლის 1 იანვრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით, ალექსანდრე ელისაშვილი მონაწილეობდა თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 22 სხდომიდან 21-ში. აღნიშნულ სხდომებზე გავიდა 63 საკითხი და შეისწავლა 62.

ამასთან, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 26 სხდომიდან დაესწრო 24-ს. განხილული 544 საკითხიდან შეისწავლა 472.

წლის განმავლობაში, ალექსანდრე ელისაშვილი წერილებით მოითხოვდა ინფორმაციას, მდინარეთა ადიდების შემთხვევაში, გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციას მეტროს ესკავატორების გამყოფ ზოლზე ადრე დამაგრებული ლამპიონების ხელახლა დადგმის შესახებ. ინიციატივით მიმართა თბილისის მერს მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის" მეორე ამოსასვლელის დასრულების შესახებ. მოითხოვა გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე საფეხმავლო ზონის აღდგენა და მექანიკური ბარიერის მოწყობა. ინიციატივით მიმართა მერს 2017 წლის ბიუჯეტში ქალაქისთვის აქტუალურ პრობლემებზე ჩასატარებელი კვლევებისთვის თანხის გამოყოფის საჭიროებაზე. ასევე, მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს ინიციატივით, თბილისის საკრებულოს შენობასთან მოხდეს ველოპარკინგის მცირე სადგურის მოწყობა და სხვა.

საირმის 7, ბინა 2-ში მცხოვრები მოქალაქის ბოდოშიშვილი მზიას შვილის თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლების საფასურის გადასახდელად ორჯერ მოეწყო საფეხმავლო ექსკურსია თბილისში. შემოსული თანხით — 800 ლარით — დაიფარა სწავლების საფასური.

2016 წლის 14 აპრილს, ასევე, გაიმართა საფეხმავლო ტური დავით აღმაშენებლის გამზრიზე და შემოსული 980 ლარით შევიძინეთ 36 ძირი ხე, რომლებიც დაირგო ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში. ადგილობრივი მოსახლეობის მზრუნველობით ყველა ხემ გაიხარა.

ალექსანდრე ელისაშვილის შუამდგომლობით, თბილისის კეთილმოწყობის სამსახურმა გაამაგრა ყაზბეგის 17-ში ავარიული მიშენება და გაგარინის 10-ის ავარიული კორპუსი.

ალექსანდრე ელისაშვილი საბურთალოს სხვა მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა საბურთალოს გამგეობის ინიციატივით შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ აუცილებელია რაიონის პრობლემების და მათი მოგვარების ადეკვატურად ასახვა 2017 წლის თბილისის ბიუჯეტში. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა, მოსახლეობისთვის ბიუჯეტის გაცნობა და მათი შენიშვნების გათვალისწინება, შემდეგი წლის განმავლობაში კი მათი შესრულების მაქსიმალური კონტროლი და მეთვალყურეობა.

პატივისცემით,
საკრებულოს წევრი

ალექსანდრე ელისაშვილი

ა. ელისაშვილი